13/06/2019

GOV 6 19 00024176

საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ განიხილა „ელექტრონული მთავრობის“ პროგრამაში (სარეგისტრაციო N22708) ატვირთული საქართველოს პარლამენტის წევრების: აკაკი ზოიძის, დიმიტრი ხუნდაძის, ილია ნაკაშიძის, ლევან კობერიძის, მირიან წიკლაურის, დიმიტრი მხეიძის და კობა ნარჩემაშვილის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით საქართველოს პარლამენტში წარდგენილი საქართველოს კანონის პროექტი „საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ“ და გაცნობებთ, რომ წინააღმდეგი არ ვართ აღნიშნული ინიციატივის, ამასთან გასათვალისწინებელია:

წარმოდგენილი პროექტი ითვალისწინებს თამბაქოზე დამოკიდებულების სამკურნალო/სამედიცინო მიზნებისათვის განკუთვნილი საქონლის გადასახადებისაგან გათავისუფლებასთან დაკავშირებულ საკითხს. პროექტის პირველი მუხლის პირველი ნაწილით წარმოდგენილ ცვლილებასთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ გადასახადისაგან გათავისუფლებული საქონლის გაფორმებისას ადმინისტრირების შესაძლო გართულების თავიდან აცილების მიზნით მიზანშეწონილია აღნიშნული საქონელი დაექვემდებაროს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ კანონმდებლობით დადგენილ სამკურნალო საშუალებების რეგისტრაციას, მითუმეტეს, რომ ეს საქონელი წარმოადგენს სამკურნალო საშუალებას. შესაბამისად, გადასახადებისაგან გათავისუფლდება თამბაქოზე დამოკიდებულების სამკურნალო/სამედიცინო მიზნებისათვის განკუთვნილი მხოლოდ ის საქონელი, რომელიც დადგენილი წესით იქნება რეგისტრირებული ზემოაღნიშნული სამინისტროს მიერ. შესაბამისად მიზანშეწონილია „კ^{2}“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„კ^{2}) საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრისა და საქართველოს ფინანსთა მინისტრის ერთობლივი ბრძანებით დადგენილი ნუსხის მიხედვით თამბაქოზე დამოკიდებულების სამკურნალო/სამედიცინო მიზნებისათვის განკუთვნილი იმ საქონლის მიწოდება ან/და იმპორტი, რომელსაც გავლილი აქვს სახელმწიფო რეგისტრაცია „წამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად; “.

გარდა ამისა, თუ შემოთავაზებული გათავისუფლების აუცილებელი პირობა არ იქნება ამ საქონლის სახელმწიფო რეგისტრაცია დადგენილი წესით, შემოთავაზებული „კ^{2}“ ქვეპუნქტის ტექსტს ისედაც მოიცავს არსებული „კ^{1}“ ქვეპუნქტის ტექსტი. შესაბამისად „კ^{1}“ ქვეპუნქტის

საფუძველზე ერთობლივი ბრძანებით უკვე დადგენილი ნუსხა შესაძლებელია მოიცავდეს თამბაქოზე დამოკიდებულების სამკურნალო/სამედიცინო მიზნებისათვის განკუთვნილ საქონელს.

ავტორები:

მაჭავარიანი ივანე (მინისტრი):